

თავი 2**ბუღალტრული აღრიცხვის განვითარება და რეგულირება – ტმტმპი**

1. ეთიკის კოდექსის თანახმად „პროფესიონალი ბუღალტერი“ უნდა ფლობდეს შემდეგ თვისებებს:
 - ა) ობიექტურობა;
 - ბ) კონფიდენციალობა;
 - გ) ორივე ზემოთ ჩამოთვლილი.
2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, ვინ არის ვალდებული ფუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით:
 - ა) სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციები;
 - ბ) სდა-ები და პირველი კატეგორიის საწარმოები;
 - გ) ყველა კატეგორიის საწარმოები.
3. კერძო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების რეგულირება ხდება:
 - ა) სახელმწიფოს მიერ;
 - ბ) დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციების მიერ;
 - გ) ორივე ზემოთ ჩამოთვლილის მიერ.
4. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს საქართველო:
 - ა) აღიარებს;
 - ბ) არ აღიარებს;
 - გ) მომავალში აპირებს რომ აღიაროს.
5. პირი იწყებს ბიზნესს და საქმიანობის განხორციელებას აპირებს დამოუკიდებლად, დაქირავებულის გარეშე, პირადი ქონებით, საკუთარი სახლის პირველ სართულზე განთავსებულ ფართში. როგორ ფიქრობთ, რომელი სამართლებრივ – ორგანიზაციული ფორმის არჩევა იქნებოდა სწორი ზემოთ აღნიშნული პირისათვის:
 - ა) კოოპერატივი;
 - ბ) ინდივიდუალური მეწარმე;
 - გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
6. შეუზღუდავი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებებს მიეკუთვნება:
 - ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება;
 - ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება;
 - გ) არც ერთი პასუხია სწორი.
7. სამართლებრივ – ორგანიზაციული ფორმა, რომელშიც საქმიანობას ერთად ახორციელებს როგორც შეზღუდული, ასევე შეუზღუდავი პასუხისმგებლობის მქონე პირები, არის:
 - ა) კოოპერატივი;
 - ბ) კომანდიტური საზოგადოება;
 - გ) სააქციო საზოგადოება.
8. საზოგადოებას, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად, ეწოდება:
 - ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
 - ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
 - გ) სააქციო საზოგადოება.